საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

არსებული მდგომარეობა 4
Current Situation

კანონმდებლობა 6
Legislation

ასოციაციის საქმიანობა/რეფორმა 8
Activities of the Association/Reform

სტრუქტურული რეორგანიზაცია 9
Structural Reorganization 10

ინფორმაციის სისტემატიზაცია 11
Systematization of Information

ხელშეკრულებები 12
Contracts

ლიცენზირება/ტარიფები 14
Licensing/Tariffs

ჰონორარების შეგროვება/განაწილება 17
Collection of License Fees/Distribution of Royalties

საჯაროობა/გამჭვირვალობა 20
Publicity/Transparency

საზოგადოებრივი ცნობიერება 21
Public Awareness

დარღვევათა პროფილაქტიკა 28
Prevention of Infringement

სასამართლო წარმოება 30
Court Cases

საერთაშორისო თანამშრომლობა 33
International Cooperation

შეჯამება 35
Conclusion

არსებული მდგომარეობა

საავტორო უფლებათა დაცვის მხრივ 2011 წელი საქართველოში წინა წლებისაგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით გამოირჩეოდა. ერთი მხრივ, აღნიშნული საკითხი ჩაითვალა პრიორიტეტად და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო, მეორე მხრივ კი, შეიცვალა საავტორო უფლებათა დამცველი ორგანიზაციის - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელობა და დაიწყო მისი რეფორმირება, რაც ქვეყანაში საავტორო უფლებათა დაცვის ხარისხზე მნიშვნელოვნად აისახა.

საავტორო უფლებათა დაცვის მიმართულებით 2011 წელი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს - 11 მაისამდე და 11 მაისის შემდეგ. ანგარიში მოიცავს ორივე პერიოდს.
2011 წლის 11 მაისამდე საქართველოში ამ სფეროში არსებული პრობლემები და მათი მასშტაბები გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მეორე ნახევარში. ეს ეხება როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას, ასევე საავტორო უფლებათა ასოციაციის ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს და მისი საქმიანობის ეფექტიანობას. პირველ რიგში, აღსანიშნავია საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ძალიან დაბალი დონე, რაც პრობლემათა გამომწვევი ძირითადი საფუძველი იყო. ქვეყანაში საავტორო უფლებები მასობრივად ირღვეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საცალო ბაზარზე მეკობრული CD/DVD პროდუქციის რეალიზაცია და ინტერნეტ-სივრცეში საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების უკანონო გავრცელება. არ არსებობდა უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მართვის ეფექტური მექანიზმები, ჰონორარების შეგროვება/განაწილების ერთიანი სისტემა, ასევე ვერ ხერხდებოდა საავტორო უფლებებით სარგებლობის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება. მოსარგებლეთა უმეტესობა უარს აცხადებდა სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმებაზე, რაც საბოლოოდ ასოციაციასა და მოსარგებლეს შორის სასამართლო დავის დაწყების საფუძველი ხდებოდა, სადავო საქმეთა რიცხვი კი დღითი დღე იზრდებოდა. ათვისებული იყო საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებით სარგებლობის ბაზრის მხოლოდ 2-3%, ანუ ბაზრის 97-98% აუთვისებელი და, შესაბამისად, არალიცენზირებული იყო.

Current Situation

The year 2011, in comparison to the preceding years, was distinguished by several aspects in regards to the protection of Copyrights. On the one hand, Copyright issues have been announced as one of the priorities and, as a result of this, relevant measures were undertaken. On the other hand, Georgian Copyright Association has changed its management board and reform process started, which significantly was reflected by Copyright protection in the country.

From the point of view of directions of Copyrights protection, the year 2011 can be divided into two parts – the periods before and after May 11th, 2011. The report covers the both periods.

Before May 11th 2011, problems surrounding Copyright issues in Georgia were far greater, than after May 11th 2011. This is related to the general existing situation in the field, as well as, to the organizational-structural issues of the Copyright Association and its effectiveness. First, low public awareness on Copyright issues should be mentioned, which was one of the reasons for creation of existing problems. Copyright infringement was omnipresent. Examples to be noted were: mass distribution of pirated CD/DVD and illegal distribution of copyrighted materials online. There were no collective mechanisms to deal with the problems effectively, unified system of collection of license fees/distribution of royalties did not exist, information on usage of copyrighted works was not systematized and was not readily available to the public. Most of the users did not agree to sign license agreements, that led to numerous court cases increasing on the regular basis. To sum up the gravity of the situation, it is important to note that 97-98% of the total market was unlicensed.

საქართველოსთვის, რომელიც იმყოფება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მომზადების პროცესში, ინტელექტუალური საკუთრების, მათ შორის საავტორო უფლებების, დაცვის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა, რამაც, როგორც საავტორო უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოფხვრისა და მათი შემდგომი პრევენციის უზრუნველსაყოფად, ასევე, ზოგადად ამ სფეროში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ახალი მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა განაპირობა.

საქართველოს პრეზიდენტის №912 ბრძანებულებით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს დებულებით განისაზღვრა მისი ამოცანები, კერძოდ: საავტორო უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით საავტორო უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, საავტორო უფლებათა პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ა.შ. საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების (სამინისტროების) წარმომადგენლების გარდა შევიდნენ ამ სფეროში მოღვაწე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები. საბჭო პირველად სწორედ 2011 წელს შეიკრიბა. შემუშავდა საავტორო უფლებების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმის ეფექტურად განსახორციელებლად აუცილებელი იყო კოლექტიური მართვის ორგანიზაციის, საავტორო უფლებათა ასოციაციის (ყოფილი ავტორთა საზოგადოების) რეფორმირებაც. ამ მიზნით, ავტორთა ინიციატივით, 2011 წლის 11 მაისს ასოციაციის საერთო კრება ჩატარდა, რომელზეც ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობა იქნა არჩეული, ანუ საფუძველი ჩაეყარა ორგანიზაციის ახლებურ მართვას.

აღსანიშნავია განხორციელებული ცვლილებების შედეგად არსებული პროგრესი. კერძოდ: საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, დარღვევათა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება, მოსარგებლეებთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბება და სალიცენზიო შეთანხმებების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ავტორთა ჰონორარების ზრდასთან, საავტორო უფლებათა რეგულირების პროცესში ავტორების, სახელმწიფო-ადმინისტრაციული ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა და სხვა, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად გაეცნობით.

For Georgia, which is currently in the process of negotiation with the EU on deep and comprehensive free trade agreement (DCFTA), respecting intellectual property and Copyright laws is extremely important and pertinent. One of the key aspects of the mentioned agreement is intellectual property rights (IPR) protection that entails developing better mechanisms to effectively ensure IPR protection and prevention of infringement.

According the President's decree #912, the Inter-Agency Coordination Council for Copyright Protection was established at the Prime Minister's office. Its functions were defined by the statute of the Council: developing relevant strategy and action plan to ensure authors rights are respected; coordinating activities against the Copyrights infringement through considering other countries experience and recommendations of international organizations in this field; raising public awareness on Copyrights related issues, etc. The members of the Council, besides the staff members of state institutions (such are ministries), are represented by the noncommercial legal entities working in this concrete field, as well as, by international organizations, experts and scientists. The Council was summoned for the first time in the year 2011. Strategy and action plan on protection of Copyrights were elaborated.

For implementation of the strategy and action plan, the Georgian Copyright Association (former SAS) needed to undergo some stages of reforms. For this purposes, on May 11, 2011, the Association held its General Assembly session where new management was elected, thus a new way of administering the Copyrights was established.

It is important to highlight the progress and improvement that has followed the above mentioned changes. In particular: raise of public awareness and knowledge on Copyrights related issues; decrease of the number of Copyrights infringement cases and establishment of the constructive cooperation with the users, significant rise of the number of licensing agreements, increase in distribution of royalties to the authors, better involvement of the international organizations and governmental offices within the processes.

კანონმდებლობა

საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით.

1999 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი იცავს საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და მათი გამოყენებისას, ასევე, არეგულირებს შემსრულებლის, ფონოგრამის/ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებსაც.

კანონის თანახმად, საქართველოში საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე, მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში, მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა განისაზღვრება 50 წლით მისი წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები მოქმედებს მონაცემთა ბაზის დამზადებიდან 15 წლის განმავლობაში.

ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობით, საავტორო და მომიჯნავე უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, საგანგებო გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ მან უნდა გასცეს ნებართვა საკუთარი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე.

Legislation

Protection of Copyrights and related rights is insured by Georgian legislation, as well as by international conventions and treaties.

"Georgian Law on Copyright and Related Rights" adopted by the Georgian Parliament in 1999 protects authors' moral, as well as economic rights that encompass scientific, literary and artistic works and their usage. Additionally, it regulates rights of performers, video/phonogram creators, broadcasting organizations, and those of databases creators.

According to the law, authors' rights arise within the creation of a work, are copyrighted throughout authors' lifespan and for 70 years after his/her death. Related rights are protected within 50 years after its creation, and the rights of databases creators are protected for 15 years after its production.

A piece of work is considered to be created, when it is expressed through an objective form, which gives an opportunity to comprehend and reproduce the aforesaid work. It is important to note that, according to the Georgian law, in order for Copyrights to be respected and implemented, the piece of work does not have to be registered.

An owner of Copyrights and related rights has the full control over reproduction or usage of his or her creation, which means that he/she should issue the permission for its usage.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის, საქართველოს სავტორო უფლებათა ასოციაციის სტატუსი განსაზღვრულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონის თანახმად, ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს ტერიტორიაზე დაიცვას როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების უფლებები. ამ მიზნით ასოციაცია გასცემს ლიცენზიებს უფლებათა გამოყენების შესახებ. კანონი ასოციაციას უდგენს საქმიანობის პრინციპებს, კერძოდ, გამჭვირვალობასა და საჯაროობას. ასოციაცია საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტს, “საქპატენტს”.

საავტორო უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157 -[1]ე მუხლი საავტორო უფლების დარღვევისათვის ითვალისწინებს ჯარიმას 500-იდან 3000 ლარამდე, განმეორებითი ჩადენის შემთხვევაში კი 3000-იდან 5000 ლარამდე, ამასთან, არალიცენზირებული პროდუქცია ექვემდებარება კონფისკაციას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების დამრღვევს ჯარიმასთან ერთად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთაც ემუქრება.

საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ ძირითად ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას, საავტორო უფლებების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებას (WCT), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ,,ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებას'' (TRIPS) და სხვა.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

Georgian Copyright Association’s status is defined by the “Georgian Law on Copyright and Related Rights”. According to this law, mission of the organization is to protect the Georgian, as well as foreign authors’ rights within the territory of Georgia. For ensuring its mission, Georgian Copyright Association grants licenses. The law sets principles for activities of the Association, and, these principles are as follows: transparency and publicity. The Association presents its annual report to the National Intellectual Property Centre “SAKPATENTI”.

The responsibility for infringement of the Copyright is regulated by the “Code of Administrative Offences of Georgia” and by the “Criminal Code of Georgia”.

According to the article 1571 of the “Code of Administrative Offences of Georgia”, infringements of Copyrights are fined from 500 up to 3000 GEL, and, repeated act of infringement - from 3000 to 5000 GEL. In the meantime, unlicensed piece of work is subjected to confiscation. By the article 189 of the “Criminal Code of Georgia”, alongside with fine, a violator of the law can be subjected to up to 3 years of imprisonment.

Georgia is a part of the following international treaties and conventions in the field of intellectual property rights: “Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works”, “WIPO Copyright Treaty” (WCT), “The Agreement on Trade Related Aspects of Intellectual-Property Rights” (TRIPS) etc.

Georgian legislation fully meets the international standards regarding the Copyrights and related rights.

ასოციაციის საქმიანობა/ რეფორმა

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია ამ სფეროში ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაციაა. ასოციაცია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ასოციაციაში ერთობლივი საქმიანობის მიზნით გაწევრიანებული საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების და/ან მათი მემკვიდრეების საერთო ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის. ამ მიზნით ასოციაცია ახორციელებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების (სარგებლობის) მონიტორინგს, ებრძვის დარღვევებს ამ სფეროში, გასცემს საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებათა გამოყენებისათვის ნებართვებს (ლიცენზიებს), აგროვებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების კუთვნილ ჰონორარებს და ანაწილებს მათ. ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ასოციაციას მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სპეციალური სტატუსი.

ასოციაციამ დაარსებიდან რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და მანდატი. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია დაარსდა 1999 წელს, რომელსაც „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა ასოციაცია“ (GESAP) ეწოდებოდა. ორგანიზაცია წარმოადგენდა როგორც ავტორთა, ასევე შემსრულებელთა ინტერესებს. წლების მანძილზე ასოციაციის არაეფექტურმა მართვამ მისი კომპეტენციის შემცირება გამოიწვია, რის შედეგადაც 2005 წელს საზოგადოების რეგულირების სფეროს მომიჯნავე უფლებები გამოეყო და მხოლოდ საავტორო უფლებების დაცვის ფუნქცია დარჩა. 2006 წელს GESAP-ი ხელახლა დარეგისტრირდა, როგორც „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ (SAS). 2011 წლის 11 მაისს მომხდარი ცვლილებების შემდეგ, 2011 წლის 9 ივლისის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ კვლავ იკისრა მომიჯნავე უფლებების დაცვის ვალდებულება, ამასთან, შეიცვალა მისი სახელწოდებაც და ორგანიზაციას „საქართველოს სავტორო უფლებათა ასოციაცია“ (GCA) ეწოდა.

წლების განმავლობაში ორგანიზაცია მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ეფექტურად ვერ ასრულებდა, რისი მიზეზიც როგორც არასწორი მენეჯმენტი, ასევე ქვეყანაში არსებული ზოგადი ფონი იყო.

Association's Activities/ Reform

Georgian Copyright Association (GCA) is the only collective management organization dealing with Copyright issues in the country. The Association is a non-profit legal entity created for protection and implementation of the Copyrights and related rights. For these purposes, the Association conducts monitoring on usage of Copyrights and related rights, fights against infringements in this field, grants licenses for usage of Copyrights and related rights within the Georgian territory, collects license fees/distributes royalties to authors and holders of related rights. In order to improve the prevention of violation of legal mechanisms, the Association also works on development of legislative proposals in this field. The Ministry of Justice of Georgia has granted the Association by the special status of a collective management organization.

Since its establishment, the Association has changed its name and mandate several times. A collective management organization in Georgia first was established in the year 1999, and was named "Georgian Authors and Performers Association" (GESAP), which represented rights of the both - the authors and the performers. Ineffective management of the Association during the years preceding May 11th, 2011, leaded to the decrease of its mandate in 2005, and the Association was left only with Copyrights rights, as the component of related rights was removed from its regulation. In 2006, GESAP renewed its registration by the name of "Georgian Authors Society" (SAS). Due to the dramatic changes of May 11th, 2011, on the meeting of the General Assembly, on June 9th, 2011, the Association once again changed its name into "Georgian Copyright Association" (GCA) and gained the function of the protector of performers' rights too.

For several years, collective management organization in Georgia was unable to fulfill its mission due to weak management, as well as, general problematic climate existing in the country.

2011 წლის 11 მაისამდე არსებულ სირთულეებს შორის უნდა აღინიშნოს:

- დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერება
- საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების არალიცენზირებული გამოყენება
- მოსარგებლეებთან არსებული არაკონსტრუქციული ურთიერთობები
- ჰონორარების შეგროვება/განაწილების არაეფექტური მექანიზმები
- ორგანიზაციის საქმიანობის არაგამჭვირვალობა
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების არარსებობა

აღნიშნული უარყოფითად აისახებოდა ქვეყანაში საავტორო უფლებათა დაცვის მაჩვენებელზე, რამაც 2011 წლის 11 მაისს ასოციაციის მენეჯმენტის შეცვლა განაპირობა. ამავე დღიდან დაიწყო მისი რეფორმირების აქტიური პროცესი.

სტრუქტურული რეორგანიზაცია

ახალმა გუნდმა, პირველ ყოვლისა, მუშაობა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტზე დაიწყო, რომელიც საერთო კრების მიერ ამავე წლის ივლისში დამტკიცდა. წესდებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. ახალი წესდებით გამგეობის წევრები აირჩევიან არა ათი წლით, როგორც ეს მანამდე იყო, არამედ - ოთხი წლით. შეიცვალა გამგეობის კომპეტენცია, რამაც ორგანიზაციის სწრაფი და ეფექტური მართვა განაპირობა. ასოციაციის რეგულირების სფეროს დაემატა მომიჯნავე უფლებათა მართვის ფუნქციაც. წესდების მიხედვით ასოციაციაში შეიქმნა ავტორთა და შემსრულებელთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტდება პარიტეტული პრინციპით, შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს წარმომადგენლისაგან.

შეიცვალა ასოციაციის სტრუქტურა. ასოციაციის თანამშრომელები შეირჩენენ კონკურსის წესით. ასოციაცია დაკომპლექტდა ახალი კვალიფიციური კადრებით, რომელთა შორის ფუნქციები მკვეთრად გაიმიჯნა და გადანაწილდა. რეგულარულად მიმდინარეობს თანამშრომლების გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.



Before May, 11th, 2011, the following problems had been occurred:

- Lack of Public awareness on copyright issues
- Unlicensed usage of copyrighted works
- Unconstructive relationships with the users
- Ineffective mechanisms of royalties' collection and distribution
- Lack of transparency of organizations' activities
- Lack of cooperation with International Donor Organizations

The above-mentioned problems had a negative impact on the level and rate of protection of Copyrights in the country, and were the main reasons for changing the management within the organization. Since then the active reform process has been started.

Structural Reorganization

The newly elected board of the Association, first of all, started working on the project of amendments to be made to the statute of the organization, which was approved by the General Assembly already in July of the same year (year 2011).

A number of relevant changes have been made to the statute, such are: board members are elected for 10 years instead of 4 years, as it was previously stated; competences of the board have been alerted, providing more operative and effective management of the organization. The function of administering the related rights has been added to the competencies of the Board. In line with the statute, the Council of Authors and Performers has been created, which, according to the parity principle, has been formed by the representatives of all the fields of the create activity.

The structure of the Association has, also, significantly changed. Staff members have been selected on the basis of fair competition. The Association has been staffed by new, qualified professionals, whose functions have been strictly demarcated and shared. The staff members have been trained on regular basis as in Georgia, so abroad.



ინფორმაციის სისტემატიზაცია

ასოციაციის წევრებისა და მათი ნაწარმოებების, ასევე, მოსარგებლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირებისათვის, ასევე ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

საავტორო უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო ბაზების დამამზადებლებისათვის ასოციაციის წევრებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სწორედ საავტორო უფლებათა ასოციაციის ვალდებულებაა. უცხოეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციები თავიანთ ქვეყნებში შეგროვებულ თანხებს ამ ბაზების საშუალებით ანაწილებენ. არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდებით ასოციაციის წევრები საზღვარგარეთ შეგროვებულ ჰონორარებს დაკარგავენ. ანალოგიური პრობლემა შესაძლოა ქვეყნის შეგნითაც გაჩნდეს.

სარგებლობის ბაზრის სწრაფი და ეფექტური ათვისებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოსარგებლეთა მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, რაც 2011 წლის 11 მაისამდე არ არსებობდა. სწორედ აღნიშნული იყო გაცემული ლიცენზიების სიმცირის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ასოციაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი ამ ინფორმაციის დაზუსტება და სისტემატიზაცია იყო. 11 მაისის შემდგომ დაზუსტდა ასოციაციის წევრებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ ინფორმაცია, აღირიცხა სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში და შეიქმნა სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, რომელიც საერთაშორისო ბაზებში ინტეგრირდა. ანალოგიური პრინციპით დაზუსტდა არსებული და პოტენციური მოსარგებლეების შესახებ ინფორმაცია და განთავსდა სპეციალურად ამისთვის შექმნილ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

Systematization of Information

For the Association's proper functioning and effective involvement within international cooperation, it is essential to have thorough information on its members and registered works of the latter, as well as, to possess the data on the users.

It is the duty of the Association to provide all the information regarding authors and their works for the international Copyright databases. In their countries, the foreign collective management organizations receive license fees and distribute royalties to the authors according to these data-bases. If the above mentioned delivered information is not complete or is incorrect, the Association members will lose the royalties from collected license fees, which were received from abroad. The same problem can occur within a native country of an Association member.

For operative and effective covering of the copyright usage market, it is essential to define the target user segments, and to systemize the information on them, which has not been done before May 11th, 2011. This was one of the main reasons of the lack of issued licenses.

In light of the aforesaid issues, one of the biggest goals of the Association was to create a complete database with precise and systemized information. After May 11th, 2011, by means of a special software, all the members of the Association and their respective works have been entered into a systemized database, and a complete database has been created, which has been integrated into the international databases. According to the same principle, the information on existing and potential users has been clarified and placed in the electronic database created for this specific purpose.

ხელშეკრულებები

2011 წლის 11 მაისის შემდგომ ასოციაციის ახალმა გამგეობამ შეიმუშავა როგორც გაწევრიანების მოქნილი პროცედურა და სათანადო ხელშეკრულებების ფორმები, ასევე მოსარგებლეებთან გასაფორმებელი სალიცენზიო შეთანხმებების ახალი პირობები. 11 მაისამდე არსებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობები ძალიან ბუნდოვანი და ორაზროვანი იყო, რაც ხშირად მხარეებს შორის გაუგებრობისა და დავის საფუძველს ქმნიდა. კერძოდ, გაწევრიანების ხელშეკრულება წარმოდგენილი იყო ერთი ზოგადი ფორმით, რომელიც არ ერგებოდა შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს, ასევე, არ არსებობდა სალიცენზიო შეთანხმებების ფორმები სეგმენტების მიხედვით, რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რამდენიმე კონკრეტული ტიპის მოსარგებლეს არასდროს ჰქონია ურთიერთობა ასოციაციასთან და პირველად 11 მაისის შემდეგ შეიძინა საავტორო უფლებით სარგებლობის ლიცენზია. ცვლილებების შედეგად, ერთი მხრივ, განახლდა ასოციაციის არსებულ წევრებთან ხელშეკრულებები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიწყო ასოციაციაში როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებათა მფლობელების გაწევრიანება, რამაც წევრთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

Contracts

After May 11th, 2011, the new Board of the Association has elaborated flexible membership procedures and appropriate templates of contracts, as well as, new conditions for the license agreements to be concluded with the users. The contracts and conditions of agreements, which existed before May 11th, were very vague and ambiguous, therefore, frequently, they created basis for misunderstanding and conflict between the parties. More concretely, a membership contract was represented by one general form, which did not match all the spheres of creative activity. As well, there were no templates by segments for license agreements, that became one of the reasons, why several concrete users never had any relations with the Association, and only after May 11th they have bought the Copyright license. As a result of the implemented changes, on the one hand, contracts have been renewed with the existing members of the Association, and on the another hand – registration of owners of Copyrights, as well as related rights has started, which increased the number of members. Before May 11th, 2011, the Association had 418 members, and according to the present situation, their amount goes beyond 570. (The precise number has not been shown on purpose, as registration of new members is conducted regularly and the number changes on daily basis).


ასოციაციის წევრთა რაოდენობა
Number of GCA Members
600
500
400
300
200
100
0
418
519
17
ავტორთა რაოდენობა 2011 წლის 11 მაისის მდგომარეობით
ავტორთა რაოდენობა 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემსრულებელთა რაოდენობა
Number of GCA Members as of May 11th, 2011
Number of GCA Members as of December 31th, 2011
Number of Performers

ლიცენზირება/ტარიფები

ასოციაციის საქმიანობის ძირითადი სისუსტე საავტორო უფლებებით სარგებლობის არასწორი და არათანმიმდევრული სატარიფო პოლიტიკა იყო, რაც ხშირ შემთხვევაში მოსარგებლეებთან ინდივიდუალური შეთანხმებების არსებობას და ორმაგი სტანდარტების დანერგვას იწვევდა. პრობლემის დასაძლევად შესრულდა კოლოსალური სამუშაო, კერძოდ, დეტალურად იქნა შესწავლილი საერთაშორისო გამოცდილება და ადგილობრივი ბაზარი, რომლის საფუძველზეც მოსარგებლეთა ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე განისაზღვრა საავტორო უფლებებით სარგებლობის ერთიანი სატარიფო პოლიტიკა. ყველა კატეგორიის მოსარგებლეთა ჯგუფთან გაიმართა 50-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა, რომლებზეც წარდგენილ და განხილულ იქნა ცვლილებები და მათი მონაწილეობით შემუშავდა სარგებლობის ახალი განაკვეთები. ცვლილებები ეხება როგორც განაკვეთების თანხობრივ ოდენობას, ასევე მათი გამოანგარიშების წესს. ახალი განაკვეთები, წინა წლებისაგან განსხვავებით, ერთნაირია ერთი და იმავე ტიპის მოსარგებლეთათვის და მათზე კანონით დადგენილი ერთი და იგივე პირობები ვრცელდება.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ერთი მხრივ მნიშვნელოვნად მოიმატა სალიცენზიო შეთანხმებების რიცხვმა, ხოლო მეორე მხრივ მოხდა სარგებლობის ბაზრის თითქმის ყველა სეგმენტის ათვისება, რაც დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

Licensing/Tariffs

The main weakness of the Association's work was wrong and inconsistent tariff policy, which, frequently, resulted in conclusion of individual agreements and establishment of double standards with the users. Colossal work has been implemented for solving the problem. More concretely, international experience and the local market have been studied carefully, according to which, unified tariff policy has been drawn up for each segment of Copyrights users separately. More than 50 individual meetings per category of users have been conducted, where the new changes have been presented and discussed and new user tariffs have been elaborated. The changes concerned sums, as well as the rules for their calculation. In comparison to the past years' experience, the new tariffs are the same for similar users and the same conditions defined by the law apply to them.

As a result of the implemented changes, from one side, the number of license agreements has increased and, from the other side, almost all the segments of the user market have been covered up to present day.


გაცემული ლიცენზიების რაოდენობა
The Number of Issued Licenses
300
250
200
150
100
50
0
ჯამი/Total: 299
39
260
01.01.2011 - 11.05.2011
12.05.2011 - 31.12.2011


ლიცენზიების რაოდენობა თვეების მიხედვით
The Number of Licenses Issued Monthly
ჯამი/Total: 299
60
50
40
30
20
10
0
11
11
8
6
3
8
26
25
49
54
41
29
28
იანვარი January
თებერვალი February
მარტი March
აპრილი April
11 მაისამდე As of May 11
11 მაისიდან After May11
ივნისი June
ივლისი July
აგვისტო August
სექტემბერი September
ოქტომბერი October
ნოემბერი November
დეკემბერი December

ჰონორარების შეგროვება/განაწილება

ჰონორარების შეგროვება/განაწილების ერთიანი სისტემის არარსებობა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი იყო. პროცესი საკმაოდ ბუნდოვნად მიმდინარეობდა. როგორც მოსარგებლეები, ასევე წევრები ვერ ახერხებდნენ ჰონორარების შეგროვება/განაწილების პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მიღებას, რაც მათი მხრიდან ასოციაციასთან ურთიერთობაზე უარის თქმის საფუძველი ხდებოდა.

Collection of License Fees/Distribution of Royalties

Non-existence of unified system of collection of license fees/distribution of royalties was the main delaying factor of the Association's work. The ongoing process was quite vague. The users as well as members couldn't receive complete information on collection of license fees/distribution of royalties, which, resulted in refusal from their side to have any relations with the Association.



ამ კუთხით დაინერგა ჰონორარების შეგროვება/განაწილების თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული მექანიზმები, კერძოდ: ყველა მოსარგებლისათვის ჰონორარების გადახდის და მათი განაწილების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდა. შემუშავდა განაწილების (დისტრიბუციის) თანამედროვე წესები, შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც პერსონალური კოდების საფუძველზე ავტორებს მიეცათ საკუთარი ჰონორარების შეგროვება/განაწილების პროცესის ონლაინრეჟიმში კონტროლის შესაძლებლობა. დაინერგა ჰონორარების განაწილების საბარათე სისტემა. ავტორებს უსასყიდლოდ გადაეცათ პერსონალური საბანკო ბარათები, რომლებზეც ერიცხებათ ჰონორარები. გატარებული ღონისძიებების შედეგად მოიმატა შეგროვებული და გადახდილი ჰონორარების რაოდენობამ.

In order to tackle this issue, the Association has developed modern and transparent mechanisms for collection of license fees/distribution of royalties. New distribution rules have been introduced. The specialized computer software has been created, which has given all the authors an opportunity to track their license fees and royalties through personalized/unique online codes. Each author has been granted a bank card free of charge, on the account of which his/her royalties are being transferred. All these positive changes have resulted in increase of collected license fees and distributed royalties.


გადახდილი ჰონორარების რაოდენობა
Amount of Distributed Royalties
ჯამი/Total: 201 736.38
140000.00
120000.00
100000.00
80000.00
60000.00
40000.00
20000.00
0.00
126 426.39
75 309.99
103 023.84
75 309.99
23 402.56
0.00
132 წევრი Member
82 წევრი Member
01.01.2011 11.05.2011
12.05.2011 31.12.2011
გადახდილი ჰონორარები
Amount of Distributed Royalties
ქართველ ავტორებზე
Georgian Authors
უცხოელ ავტორებზე
Foreign Authors

საჯაროობა/გამჭვირვალობა

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. მრავალი წლის განმავლობაში კანონის ამ მოთხოვნის უგულებელყოფა ხდებოდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე დასავლური ტიპის მართვის ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ ამ პრინციპების დაცვაა.

საავტორო უფლებათა ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობის საქმიანობა დაეფუძნა სრული გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს. დაინერგა ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების თანამედროვე, მარტივი საშუალებები, შედეგად ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

გაიზარდა ასოციაციის მართვის პროცესში წევრთა ჩართულობის მაჩვენებელი. პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად წევრთა შემადგენლობიდან რეგულარულად იქმნება მიზნობრივი, სპეციალური კომისიები, რომლებიც განიხილავენ სადავო საკითხებს და იძლევიან კომპეტენტურ დასკვნებს. გარდა ამისა, წესდებით განსაზღვრული ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს არსებობა ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის კიდევ ერთი დამატებითი გარანტიაა.

საჯაროობის მიზნით ასოციაციაციაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა შუქდება მედიასაშუალებებით, ასევე, ინფორმაცია ვრცელდება ასოციაციის ვებგვერდის, facebook-ისა და სხვა წყაროების მეშვეობით.

Publicity/Transparency

According to the "Georgian Law on Copyright and Related Rights", the Association's activities should be based on the principles of publicity and transparency. For many years this crucial principles were neglected even though it is a foundation of modern Western type of management.

The activities of the new management of GCA have been firmly based upon the principle of publicity and transparency. All the information on the Association's activities became readily available for larger public and interested individuals.

Involvement of the Association members in the management process has significantly increased. Member based specialized committees organize regular meetings to resolve existing problematic issues and provide competent recommendations. Besides, establishment of the Council of Authors and Performers is one of the guarantees for publicity and transparency.

To ensure total transparency, the Association's work is largely covered by the media, also, the information is distributed by means of the web page of the Association, through Facebook and other sources.

საზოგადოებრივი ცნობიერება

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის დამკვიდრების მიზნით ასოციაციამ ინტენსიური ნაბიჯები გადადგა.

შეიცვალა ასოციაციის ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა შესაძლებლობა მიიღოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. ვებგვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური.

ასოციაციის მიერ დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია სახელწოდებით— "ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!" კამპანიის ფარგლებში ჩატარდა არაერთი აქცია, კონცერტი და სხვა მასობრივი ღონისძიება. გავრცელდა ბეჭდური მასალა, დამზადდა საინფორმაციო-სოციალური ვიდეორგოლი, გამოიცა მუსიკალური ალბომი და საავტორო უფლებების შესახებ საქართველოს ისტორიაში პირველი რეგულარული ჟურნალი „Copyright-ი", რომლის პირდაპირი მიზანი ამ სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაა.

Public Awareness

In order to raise public awareness on Copyrights related issues and to increase the culture of legal usage of IPR in the country, the Association has implemented significant measures.

The GCA has upgraded its webpage where all the members of society can learn more about Copyrights and related rights, as well as about all the changes that are ongoing in this field. The web page (www.gca.ge) is bilingual, operated in Georgian and English languages.

The Association has started a large scale campaign called "Do Not Infringe Copyright". Within the framework of the campaign, GCA has organized concerts and different kinds of public events and gatherings. The campaign has been promoted through printed materials, social video-reel and music album, as well as, "Copyright" magazine, that is the first of a kind in the history of Georgia, which addresses current issues in the field of Copyrights and related rights and its primary goal is to raise public awareness on this concrete issue.

საავტორო უფლებების შესახებ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას მიეძღვნა არაერთი რეიტინგული სატელევიზიო გადაცემა. ასოციაციაციის საქმიანობა აქტიურად შუქდება მედიასაშუალებებით მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოში მოწვეული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრები და სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე.

Association's work has been largely covered by the media throughout Georgia. Many high rank TV shows have been dedicated to this topic.

By the support of international donor organizations, different workshops and seminars have been conducted with the participation of invited foreign experts and other counterparts.

CD I
1. ახალ წელს - ირაკლი ჩარკვიანი და ქეთათო
მუსიკა და ტექსტი: ირაკლი ჩარკვიანი
2. Jazz Love - დათო ევგენიძე
მუსიკა: დათო ევგენიძე
3. გაგივლის - ბიბი და სერგი
მუსიკა და ტექსტი: ბიბი კვაჭაძე
4. The last minute of the terrorist - Green Rooom
მუსიკა და ტექსტი: Green Rooom
5. ციცინათელა - ზაზა კორინთელი
მუსიკა: ზაზა კორინთელი ტექს
6. სიყვარულის მანქანა - პორნო
მუსიკა: პორნოპოეზია ტექსტ
7. ავოე - ჰჰპ
მუსიკა და ტექსტი: ნიაზ დ
8. ქართული ზღაპარი ანი ბ
მუსიკა და ტექსტი: გია ნ
9. დღეები რბიან - ფრანი
მუსიკა და ტექსტი: შოთ
10. Happy new year - Soft Ejec
CD I All Rights Reserved ©
CD II
1. ფიფქებო - ნეკა სებისკვერაძე
მუსიკა და ტექსტი: გიული დარახველიძე
2. ჩავიდა ამზე - მერაბ სუფაშვილი
მუსიკა: ლილიკო ნემსაძე ტექსტი: ირინა სანიკიძე
3. თბილისო - ლელა წარნუმია
მუსიკა: რუსა მორჩილაძე ტექსტი: ირინა სანიკიძე
4. It's ok - ნოდიკო ტატიშვილი
მუსიკა: მაია კაჭკაჭიშვილი ტექსტი: ბორიკო შხიანი
ტექსტი: ვაჟა-ფშაველა
ტექსტი: მორის ფოცხიშ
ტექსტი:
ტექსტი:
ტექსტი:

საავტორო და მომიჯნავე უფლებების
დარღვევა ისჯება კანონით
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157[1]-ე მუხლი
სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი
GCA
საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია
საქპატენტი
საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი

ეს მოიპარეს
ასეთები
GCA
საავტორო და
საავტორო უფლებათა
პატრონაჟის
ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა ორგანიზაციის
ირჯენა,
ისჯენა!

ჟურნალი საავტორო უფლებების შესახებ
Magazine On Copyright
ზამთარი/Winter 2012
№1

დარღვევათა პროფილაქტიკა

11 მაისის შემდგომ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში არსებული დარღვევების აღკვეთისა და მათი პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

გაიმართა მოლაპარაკებები სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორაგნოებთან და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტთან" და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად შემუშავდა და დაიგეგმა დამრღვევთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებები. ასოციაცია წარმოდგენილია საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოში, ასევე, ჩართულია საავტორო უფლებათა დაცვის სტრატეგიის განხორციელებასა და დარღვევათა ეფექტური აღკვეთის მიზნით გასატარებელი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ასოციაციის ჩართულობით ორი მსხვილი ქართული კომპანიის მიერ უახლოეს მომავალში შეიქმნება პირველი 100%-ით ლეგალური მუსიკალური პროდუქციის ვებგვერდი, მასზე განთავსდება როგორც ქართული, ასევე უცხოური მუსიკა და შესაძლებელი იქნება მისი შეძენა ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად.

Prevention of Infringements

After May 11th, 2011, significant measures have been taken for elimination and prevention of infringements in Copyright field.

Negotiations have been held with the state-administrative bodies and memorandums of cooperation have been established. In cooperation with the National Intellectual Property Center "SAKPATENTI" and other state bodies, the action plan on measures addressed against the Copyrights infringers has been elaborated. The GCA, which is represented at the Inter-Agency Coordination Council for Copyright Protection, at the same time, is actively involved in the process of implementation of Copyright protection strategy, and in drafting the legal amendments aiming effective elimination of the infringements.

In the nearest future, after the long-term negotiations and active involvement of GCA, 2 biggest Georgian companies are planning to launch the 100% legal music web portal, where Georgian, as well as, foreign music files will be allocated, and its purchase will be affordable for any user.

საცალო ბაზარზე არსებული მეკობრული CD/DVD პროდუქციის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადდნენ აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების თანამშრომლები - შემოსავლების სამსახურის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და ა.შ. აქტიურად დაიწყო მეკობრული პროდუქციის გამოვლენისა და მასზე რეაგირების ღონისძიებების გატარების პოლიტიკა.

დაინერგა დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ქმედითი საშუალებები, სატელეფონო ცხელი ხაზისა და ელექტრონული შეტყობინების ფორმით. ასოციაციის შემადგენლობაში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს სისტემატური კონტროლი და დარღვევათა აქტიური გამოვლენა.

შედგა რამდენიმე მაღალი დონის სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც ასოციაციის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრებზე განხილულ იქნა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში არსებული გამოწვევები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

With the support of international organizations, the employees of services responsible for enforcement, such are: Revenue Service, Boarder Protection Department and other relevant bodies have been trained. The main goal of the abovementioned activities is to eliminate pirated CD/DVD within the Georgian market. Implementation of policy on revealing and eliminating the pirated production is in an active phase.

In order to reveal the facts of Copyright infrigements, effective mechanisms in the shape of a hot line and sms system have been established. A monitoring team has been created within the GCA, which systematically conducts the monitoring and is focused on identifying the cases of infringement.

Several high level meetings have been organized, where, besides the GCA, representatives of other state and non-governmental bodies and international organizations have taken part. The main topics of the meetings have been the challenges and problems in the field of Copyrights, and possible ways for their solution.

სასამართლო წარმოება

11 მაისის მდგომარეობით, ასოციაციის მიერ სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმებისა და თანხის გადახდის მოთხოვნით წარმოებულ სასამართლო დავათა რიცხვი შეუსაბამოდ მაღალი იყო, რაც მოსარგებლეებთან ასოციაციის დაძაბულ ურთიერთობას ცხადყოფდა. ეს სიტუაცია საფრთხეს უქმნიდა შემდგომში მათთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას და ლიცენზირების პროცესს, ასევე, იწვევდა ორგანიზაციის როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსის არაეფექტიანად ხარჯვას.

Court Cases

By May 11th, 2011, the number of court disputes regarding the licensing and payment of royalties had been exceptionally inappropriate, which made obvious the tough relationship between the Association and the users. This situation created a threat not only for the future constructive cooperation with users, but also for the process of licensing. It caused the ineffective usage of human and monetary resources.



სწორედ ამიტომ პრიორიტეტულ საკითხთა რიცხვს მოსარგებლეებთან ურთიერთობისას არსებული უარყოფითი კლიმატის შეცვლაც დაემატა. ამ მიზნით ყველა სასამართლო დავასთან დაკავშირებით გაიმართა ინდივიდუალური მოლაპარაკებები, რის შედეგადაც მიმდინარე სასამართლო დავების უმრავლესობა დამთავრდა მორიგებით და შედგა შეთანხმებები საავტორო ჰონორარების გადახდის შესახებ.

Thus, changing the negative climate existing in communication with users became one of the priority issues for the Association. With this purpose, every single case has been discussed individually and negotiated with the users. As a result, most of the court cases have been ended with the acts of settlement, and, accordingly, the relevant mutual agreements on payment of license fees have been reached.




11.05.2011-ის შემდგომი დავების მდგომარეობა
The Status of Court Cases after 11.05.2011
9
1
3
2
3
0
1
2
3
4
5
6
7
8
9
დავების საერთო რაოდენობა
Total Court Cases
დასრულდა მორიგებით და გაფორმდა ლიცენზიები
Finished with Acts of Settlment and with Issued Licenses
დასრულდა ასოციაციის სასარგებლოდ
GCA Won Cases
შეწყდა
Terminated
მიმდინარეობს
Pending

საერთაშორისო თანამშრომლობა

საავტორო უფლებათა ასოციაცია იცავს არა მხოლოდ ქართველების, არამედ უცხოელი ავტორების უფლებებსაც საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ფუნქციას მას საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები ანიჭებს.

დასახელებულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მათგან ხდება როგორც ასოციაციის წევრებისათვის შეგროვებული ჰონორარების მიღება, ასევე საავტორო უფლებათა სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება.

ასოციაციის ახალმა ხელმძღვანელობამ განაახლა ურთიერთობები და გააფორმა რამდენიმე ახალი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც დღესდღეობით ასოციაცია წარმოადგენს და იცავს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის სამ მილიონზე მეტ ავტორს მსოფლიოს მასშტაბით და ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე მათი უფლებების მართვას.

International Cooperation

Within the territory of Georgia, Georgian Copyright Association protects rights not only of Georgian, but those of foreign authors as well. This mandate is granted to GCA on the basis of the reciprocal representation agreements established with similar societies abroad.

The cooperation with the aforesaid societies is very important, as on the one hand, it gives a possibility to receive the license fees and distribute royalties to Georgian authors and on the other hand - to share the information and experience on important Copyright issues.

The new management of the association has established several new agreements and renewed the relationships with the existing parties, on the basis of which, currently, GCA represents and, within the territory of Georgia, protects more than 3 million authors from 150 countries and terittories worldwide.

პარტნიორი ორგანიზაციების გარდა ასოციაციამ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, ამერიკის კომერციული სამართლის განვითარების პროექტი (CLDP), საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივა (EIP,USAID) და სხვა.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში იმყოფებოდა ესტონეთის ავტორთა საზოგადოების დირექტორი, რომელმაც ქართველ კოლეგებს საავტორო უფლებების განვითარების სფეროში ესტონეთის გამოცდილება გაუზიარა. ევროკავშირის დაფინანსებითვე, 2012 წლის თებერვალში დაგეგმილია ასოციაციის ხელმძღვანელობის სამუშაო ვიზიტი დანიაში, სადაც მოხდება ამ სფეროში სკანდინავიის ქვეყნების პრაქტიკის დეტალურად გაცნობა, ასევე ამერიკის მთავრობის დაფინანსებით, 2012 წლის მარტში, ასოციაციის თანამშრომლები მიემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ზოგადად ინტელექტუალური საკუთრების საკითხების, ასევე საავტორო უფლებათა სფეროში გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ევროკავშირის დაფინანსებით ასოციაციის მიერ გამოიცა რეგულარული ჟურნალი - „Copyright“-ი.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობა დღემდე აქტიურად გრძელდება.

Besides the partner organizations, GCA has established the close cooperation with the International donor organizations, such are: the European Union Delegation to Georgia, US Commercial Law Development Program (CLDP), Economic Prosperity Initiative (EIP,USAID), and many more.

By the financial support of the EU Delegation to Georgia, the Estonian Copyright Society Director visited GCA. He shared the Estonian experience and best practices on Copyrights related issues. By the EU financial support, in February, 2012, the management of the Association plans to hold a study visit in Denmark, where the Scandinavian practices on Copyrights protection will be explored. In March, 2012, for the purposes of raising qualification and gaining more experience in IPR field, which later will be adopted in Georgia, the Association members will visit the USA on a study tour.

GCA published the first issue of the magazine "Copyright" by the financial assistance of the EU.

Cooperation with the donor organizations are progressing fruitfully.

შეჯამება

2011 წლის 11 მაისის შემდგომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა როგორც საავტორო უფლებათა ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანობა, ასევე დაძლეულ იქნა არსებული პრობლემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც პოზიტიურად აისახა ქვეყანაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვისა და განხორციელების მაჩვენებელზე. აღნიშნულ კურსს საავტორო უფლებათა ასოციაცია 2012 წლის განმავლობაში უფრო აქტიურად გააგრძელებს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია პრობლემური საკითხი, რომელიც დღეს ამ სფეროში დგას. პრობლემების სრულყოფილად აღმოფხვრა საკმაოდ დიდ ფინანსურ, ადამიანურ თუ დროით რესურსს მოითხოვს, გამომდინარე აქედან, გვაქვს საზოგადოების თითოეული წევრის მხარდაჭერის და თანადგომის იმედი და ვიმედოვნებთ, რომ ერთობლივი ძალებით შევძლებთ საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა განხორციელების ქმედითი მოდელის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს უფლებათა ეფექტურ დაცვას და ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის დანერგვას.

Conclusion

After the reforms implemented in May, 2011, the effectiveness of work of the Association has been increased and series of problems have been solved. The latter has been positively reflected by the indicator of protection of the rights of Copyrights and related rights holders in the country. The existing reforming policy will be followed by the GCA in the year 2012 as well.

Despite of all the above mentioned, some problematic issues in this field still remain unsolved. The complete elimination of the problems requires significant financial, human and time resources. Accordingly, we hope for the support of every citizen and strongly believe that, through joint efforts, we will be able to create the effective model of implementation of the Intellectual Property Rights, which will contribute to the successful protection and establishment of the culture of legal usage of the intellectual property in the country.

GEORGIAN
COPYRIGHT
ASSOCIATION
COLLECTIVE MANAGEMENT ORGANIZATION

www.gca.ge საქართველო, 0171 თბილისი, კოსტავას ქ. 63 I 63 Kostava str. 0171 Tbilisi, Georgia +995 32 223 7887 contact@gca.ge